პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 90 (20481) — ორშაბათი, 17 აპრილი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

1989 წლის 1 მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

2. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

3. დაე, ცოცხლობდეს და ვითარდებოდეს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება — სოციალიზმის რევოლუციური განახლების იდეური საფუძველი!

4. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — გარდაქმნის ინიციატორსა და გარანტს!

5. კომუნისტებო! კონკრეტული საქმეებით შეასხით ხორცი XIX საკავშირო პარტკონფერენციის ნოვატორულ იდეებს!

6. გაუმარჯოს საბჭოებს — ნამდვილი სახალხო ხელისუფლების ორგანოებს!

7. დაე, მტკიცდებოდეს და ყვაოდეს ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

8. სსრ კავშირის ხალხებო! დაიცავით და განავითარეთ სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ტრადიციები! საკადრისი პასუხი გაეცით ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლინებებს!

9. გაუმარჯოს მუშათა კლასს — ჩვენი საზოგადოების წამყვან ძალას!

10. სოფლის მშრომელებო! განახორციელეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი! სოციალისტური საკუთრების მრავალფეროვანი ფორმებისა და მეურნეობრიობის სახეობების საფუძველზე აუმჯობესეთ ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა!

11. საბჭოთა მეცნიერებო, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებო! გარდეთ გარდაქმნის ინტელექტუალური პოტენციალი! დაიცავით და ამრავლეთ სოციალიზმის სულიერი ღირებულებანი!

12. საბჭოთა ქალებო! დღენიადაგ იზრუნეთ ოჯახის კეთილდღეობისათვის და აქტიური მონაწილეობა მიიღეთ შრომასა და საზოგადოებრივ საქმეებში, მშვიდობისათვის ბრძოლაში!

13. კომკავშირელებო, ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის ჩვევებს! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ გარდაქმნაში!

14. საბჭოთა პროფკავშირებო! იბრძოლეთ შრომის მაღალი ორგანიზაციისათვის, ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის! დაამკვიდრეთ სოციალისტური სამართლიანობა, დაიცავით მშრომელთა კანონიერი უფლებები!

15. მხურვალე სალამი პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებს!

16. სსრ კავშირის მოქალაქენო! განავითარეთ საზოგადოებრივი ინიციატივა და აქტიურობა გარდაქმნაში ხალხისა და სოციალიზმის განახლების ინტერესებისათვის!

17. საბჭოთა მეომრებო! განამტკიცეთ საბრძოლო ორგანიზებულობა და დისციპლინა! იყავით არმიასა და ფლოტში გარდაქმნის აქტიური მონაწილენი, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის საიმედო დამცველები!

18. საპირველმაისო სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, საზღვარგარეთის ქვეყნების მთელ დემოკრატიულ ძალებს!

19. დაე, მტკიცდებოდეს სოციალისტური სახელმწიფოების ხალხთა თანამეგობრობა!

20. მხურვალე სალამი მშრომელ ადამიანთა ინტერესებისათვის, ექსპლოატაციის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მამაც მებრძოლებს!

21. ევროპის ხალხებო! შევქმნათ ჩვენს კონტინენტზე უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთო სახლი!

22. პლანეტის ხალხებო! იბრძოლეთ უბირთვო და უძალადო მსოფლიოსათვის! ახალი პოლიტიკური აზროვნების საფუძველზე გავაერთიანოთ ძალები გლობალური, ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გადაჭრისათვის!

მეტალურგთა სიტყვა და საქმე

დიდნაყოფიერი შრომის დღედ გამოაცხადა 15 აპრილი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლეტივმა. ზუსტი შრომითი რიტმით მუშაობდა რესპუბლიკის მრეწველობის ფლაგმანის ყველა საამქრო. ამ დღეს მეტალურგებს ეწვივნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე.

ღირსეულად ჩაბარა მოქალაქეობრივი სიმწიფის გამოცდა მეტალურგთა მრავალთასიანმა კოლექტივმა საქართველოსათვის ამ ტრაგიკულ დღეებში. დიდმა გულისტკივილმა და მწუხარებამ, რუსთაველთა, ისევე როგორც რესპუბლიკის, ქვეყნის ყველა მცხოვრების გული რომ აღავსო, ვერ გატეხა მისი მუშური ნებისყოფა. ეს გამოიხატა არა მარტო იმით, რომ აპრილის ამ დაძაბულ დღეებში არც ერთი წუთით არ დაურღვევიათ საწარმოო პროცესი, არ აჰყოლიან ქარხნის გასასვლელთან შეკრებილი ახალგაზრდობის აგრესიულად განწყობილი ჯგუფების მოწოდებებს გაფიცვისათვის, არამედ იმითაც, რომ საკადრისი პასუხი გასცეს მათ. უფრო მეტიც, მათ შეძლეს ბევრი შეცდომაში შეყვანილი ახალგაზრდა, რომლებიც ემიცვნენ მოეცვა, დაერწმუნებინათ, რაოდენ უაზროა, უპირსპექტივოა ამგვარი აქცია.

წარმოშობილ სიძნელეთა გადალახვაში პრინციპულობა, სიმედგრე არ აკლიათ ქარხნის მშრომელებს. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ, როცა დიდი გაროვება ჰქონდათ, მეტალურგებმა შეძლეს მოეკრიბათ ძალა, გამოენახათ რეზერვები და გამოეყენათ საწარმო ჩამორჩენილთა რიგებიდან. გარდატეხის დასაწყისი, რომელიც დაეთხვა გარდაქმნის, განახლების პიროველ ნაბიჯებს, უკავშირდებოდა მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დამკვიდრების რთულ პროცესებს. კოლექტივმა მოკავშირედ გაიხადა სამეურნეო ანგარიში და ნაბიჯ-ნაბიჯ, სულ უფრო გულდაჯერებით ზრდიდა წარმოების მოცულობას, აუმჯობესებდა პროდუქციის ხარისხს. რეკონსტრუქციამ, მოდერნიზაციამ, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფამ თანამედროვე მოწყობილობის დამონტაჟების გზით საშუალება შექმნა მიეღწიათ შრომის ნაყოფიერების უპირატესი ზრდისათვის ხელფასის ზრდასთან შედარებით.

სამეურნეო ანგარიშმა გაზარდა თითოეული მუშის დაინტერესება თავისი შრომის საბოლოო შედეგით, საწარმოო ფონდობების მაქსიმალური გამოყენებით. ქარხანაში მოაგვარეს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება. თანაც ამ საქმეს ფორმალურად კი არა, იმ მტკიცე გადაწყვეტილებით მიუდგნენ, რომ შეექმნათ მოგების მიღების კიდევ ერთი წყარო. ამ მიზნით საქმიანი კონტაქტები დამყარეს საზღვარგარეთელ პარტნორებთან, დაარსეს საპოლეთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივი საწარმო, რომლის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა.

ყოველივე ეს სტიმრებს უამბეს მეტალურგებმა საგლინავ და მარტენის საამქროებში. საუბარი შეეხებოდა მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს, კოლექტივის სოციალური განვითარების მდგომარეობასა და პერსპექტივებს. კერძოდ, აქ ჯერჯერობით კვლავ მწვავეა საბინაო პრობლემა — დღეს ბინის მიღების აღრიცხვაზეა 850 კაცი. მაგრამ ამ ბოლო დროს გაჩნდა ამის ლიკვიდაციის რეალური პერსპექტივაც. მოგების ხარჯზე ბინების მშენებლობის გარდა, ქარხანაში ბევრმა გამოთქვა სურვილი ააშენოს ინდივიდუალური სახლები — უკვე შემოვიდა ორი ათასზე მეტი განცხადება, თხოვნით გამოუყონ მიწის ნაკვეთები. უკვე ეძებენ რეზერვებს, რათა უზრუნველყონ მშენებლები საშენი მასალებითა და მუშახელით.

გულახდილი და მომთხოვნი სჯა-ბაასი ყველაზე მტკივნეულ საკითხებზე, რომლებიც დღეს მეტალურგებს აღელვებს, გაიმართა მარტენის საამქროს წითელ კუთხეში, სადაც შეიკრიბნენ შრომითი ვეტერანები, ომის ინვალიდები, ომისა და შრომის ვეტერანები, ომისა და შრომის ინვალიდები, ომისა და შრომის ინვალიდები, ომისა და შრომის ინვალიდ

ვის უხმობს თვითმმართველობა

1.

თვითმმართველობა (თუკი იგი რეალურია!) საწარმოს დონეზეც დიდი სიკეთეა, მაგრამ დღეს, როცა უკვე მოკავშირე რესპუბლიკების თვითმმართველობასა და სუვერენული უფლებების გაფართოებაზე გვიხდება საუბარი, პრობლემის ხიბლი და მიზიდულობის ძალა, ცხადია, განუზომლად მატულობს. სხვას რომ თავი დავანებოთ, რესპუბლიკის დონეზე თვითმმართველობა რამდენადმე ეხმიანება დიდი ილიას კონცეფციას, ოთხ სიტყვაში რომაა ჩატეული: „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნესო“.

რა დასამალია, ყველანი დიდი მღელვარებით ველოდით დოკუმენტს, რომელიც ამჟამინდელ ეტაპზე რესპუბლიკებს თვითმმართველობის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში დაეხმარებოდა. „მოკავშირე რესპუბლიკებში მათი სუვერენული უფლებების, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გაფართოების საფუძველზე ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპების პროექტი“, მოგეხსენებათ უკვე საყოველთაო-სახალხო განხილვის საგანია.

ამოსავალ დებულებად ამ დოკუმენტს აქვს პრინციპი: ძლიერი ცენტრი — ძლიერი რესპუბლიკები. საკავშირო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ი. მასლიუკოვის წერილი გაზეთ „პრავდაში“ სწორედ ამ სათაურით დაიბეჭდა. ისე, ლოგიკურნი თუ ვიქნებით, უფრო ბუნებრივი იყო ასე გაგვეზრებინა: ძლიერი რესპუბლიკები — ძლიერი კავშირი. დაახლოებით ამგვარი შენიშვნა უკვე გამოითქვა როგორც საკავშირო, ისე მოკავშირე რესპუბლიკების პრესაში, გამოითქვა სამართლიანად. ძლიერი რესპუბლიკების გარეშე ძლიერ კავშირზე ლაპარაკი, ცხადია, მარტოოდენ მირაჟია.

ჩვენი ეკონომიკა, პოლიტიკა, სოციალური ყოფა ათწლეულების მანძილზე ბიუროკრატიულმა ცენტრალიზმმა, ბიუროკრატიულმა ადმინისტრაციულმა აპარატმა დაამახინჯა. ცენტრი, როგორც ეს მინიშნებულია განსახილველ დოკუმენტში, აშკარად ვერ უძღებოდა ეკონომიკას, მაგრამ ამასთან მართვის აღვირის ხელიდან გაშვებაც არ უნდოდა, რომ იტყვიან, ყველაფერს ზედ დაჰკანკალებდა. აქედან მოდიოდა ყოვლისშემძლე არარაობის კულტი, დიდი თუ მცირე დისპროპორციები, ნაირგვარი ინტერესების, მათ შორის რესპუბლიკების ეროვნული თუ ეკონომიკური ინტერესების უგულებელყოფა. არადა, კარგა ხანია მომწიფდა საჭიროება, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს რეალურად მიენიჭოთ და საკანონმდებლო წესით დაუმკვიდრდეთ სუვერენული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი უფლებები, რეალურად განაგებდნენ თავიანთ ქონებასა და ბუნებრივ რესურსებს.

2.

ზოგადი მითითებები, თავისი ჩანაფიქრიდან გამომდინარე, მრავალწახნაგოვანია. იგი გვერდს ვერ უვლის გარდაქმნის ვერცერთ მნიშვნელოვან პრობლემას. ყველა საკითხი, როგორც წესი, განხილულია მთელი ქვეყნის ეკონომიკის, როგორც ერთიანი მჯელის, ინტერესებიდან გამომდინარე. ეს, სხვათა შორის, წითელ ზოლად გასდევს მთელს დოკუმენტს. ამიტომ, ალბათ, უადგილოდ არ მოგეჩვენებათ, თუ სათქმელს ამთავითვე ცენტრისა და რესპუბლიკების ინტერესების ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში გადავიტანთ. ეს ისეთი საკითხია, იმდენად ორგანულად არის დაკავშირებული რესპუბლიკების თვითმმართველობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრობლემებთან, რომ ღირს მასზე უფრო ვრცლად საუბარი.

ინტერესს — ამ „ყოვლისშემძლე ჯადოქარს“, — მკვლევარი არასოდეს მოუკლია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ სფეროში ყველაფერი საბოლოოდ გარკვეული და დადგენილი იყოს. თუმცა არის ერთი თეზისი, რომლის სისწორეში ეჭვი თითქმის არავის შეაქვს. კერძოდ, ნაირგვარ ინტერესებს მკვლევართა უმეტესობა სათავეში საერთო-სახელმწიფო ინტერესს უყენებს, მეტიც, თითქმის ყველა მათგანი ხაზგასმით აღნიშნავს სახელმწიფო ინტერესების აუცილებელ, უდავო პრიმატს ინტერესის დანარჩენ სახეობებზე. თუმცა ამ ბოლო დროს პრესაში სხვაგვარი მოსაზრებებიც გამოკრთა.

არის თუ არა ისეთი ინტერესი, რომელიც თავისი მნიშვნელობით მართლაც ყველა დანარჩენს „აღემატება? აკადემიკოს ა. სახაროვისა და გ. სმირნოვის აზრით ასეთია მსოფლიო, საერთო-საკაცობრიო ინტერესი. მართლაც, „პირველი ვიოლინოს“ უფლება ინტერესთა სამეფოში მხოლოდ საერთო-საკაცობრიო ინტერესს აქვს. თუკი პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ საერთო-საკაცობრიო ინტერესს (სხვაგვარად კაცობრიობა და მასთან ერთად ნებისმიერი ინტერესის მატარებელიც დაიღუპება), მაშინ ძალას კარგავს ფორმულა, რომ ესა თუ ის ინტერესი სხვის ხარჯზე განვავითაროთ. ინტერესთა სამართლიანი თანასწორუფლებიანობა კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებულია ნებისმიერი ინტერესის თავისთავადობა და ღირსება. მკვლევართა ერთი ჯგუფის აზრით ინტერესებს აქვთ თავიანთი სამართლებრივი საფუძველი და, როცა მათ არ ეითვალისწინებთ, ჩვენ უგულებელყოფთ არა მარტო სამართალს, არამედ ეკონომიკასაც. ე. ი. ლოგიკურია ვილაპარაკოთ მხოლოდ ინტერესთა თანასწორუფლებიანობასა და სრულქმნაზე.

ზემოთდასახელებული მეცნიერებისა და საერთო-საკაცობრიო ინტერესების „შენუხება“, იმიტომ დამჭირდა, რომ მეთქვა: ობიექტურად არსებულ ინტერესთა სისტემიდან ჩვენ რატომღაც ამოვაგდეთ ეროვნული ინტერესი, იმდენად ბავრიყეთ, რომ ხელოვნურად გამარტივებულ და გამსხვილებულ ინტერესთა „სამებაშიც“ (პირადი, კოლექტიური და საზოგადოებრივი ინტერესი) აღარ შევიტანეთ, არადა, დღეს ჩვენ თითქმის ფიზიკურად ვგრძნობთ როგორ აღსდგა, როგორ დაიკავა თავისი კუთვნილი ადგილი ეროვნულმა ინტერესმა.

შეიძლება გვითხრან, საზოგადოებრივი ინტერესი გარკვეულწილად მოიცავს ეროვნულ ინტერესებსო. ძალიან ყრუდ, ნახევარტონებში. საქმე ისაა, საიდან შეხედავ პრობლემას, სად მოვნიშნავთ ათვლის წერტილს. საბჭოთა კავშირისათვის საზოგადოებრივ - ინტერესებში ნაგულისხმევი ეროვნული ინტერესი, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა ხალხის ინტერესია (ჩვენი აზრით, თვით ცნება „საბჭოთა ხალხი“ სწორედ ინტერესთა აღრევის დამახასიათებელი მაგალითია). ისიც უნდა ითქვას, რომ ათწლეულების მანძილზე ჩვენ ინტერესებს ხელოვნურად ვაჰარმონიულებდით, მათ შორის ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ ვხედავდით, თუმცა, იმის თქმა, ან ვაროვდი, რომ სოციალიზმი უკონფლიქტო საზოგადოებაა, არა მარტო არასწორი, საშიშიცაა. მან შეიძლება მიგვიყვანოს (და მიგვიყვანა კიდეც) სერიოზულ შეცდომამდე ეკონომიკაშიც და პოლიტიკაშიც.

3.

ქვეყანაში არსებულ წინააღმდეგობებს როცა ჩამოთვლიდნენ ხოლმე, ჩვეულებრივ, მოიხსენიებდნენ წინააღმდეგობებს ცენტრალიზებულ დაგეგმვასა და სასაქონლო-ფულად, საბაზრო ურთიერთობებს შორის; ეკონომიკური და სოციალური სფეროების განვითარებას შორის; შრომის ანაზღაურებასა და ეფექტიანობას შორის და ა. შ., მაგრამ არსად, არასოდეს მოიხსენიებოდა წინააღმდეგობა საერთო-სახელმწიფო, საზოგადოებრივ და ეროვნულ ინტერესებს შორის. განა ვერ ვხედავდით, განა არ ვიცოდით, — ვითომ ვერ ვხედავდით, ვითომ ვერ ვგრძნობდით.

იმის გამო, რომ ეროვნული ინტერესის პრობლემა ყველას დასანახად არ ამორრდილიყო,— რუსი ხალხის ინტერესებზეც თითქმის არაფერი იწერებოდა, მაგრამ, როგორც საჯარიოობის პირობებში გაირკვა, რუს ერს, (ისევე, როგორც ქართველს, სომეხს, უკრაინელს და სხვ.), თურმე, სხვაზე ნაკლები საწუხარი როდი აქვს.

საკითხის მიჩუმათებით პრობლემა არც წყდება და არც უქმდება. მეტიც, ეს პრობლემა სულ უფრო მძაფრი და მოულოდნელი ფორმებით ამოხეთქავს ხან აქ, ხან იქ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ინტერესთა „ინტერიერის“ გადასინჯვა, სტრატეგიულ მიზანთან მათი მისადაგება დღეს განსაკუთრებით საშური საქმეა. როცა რესპუბლიკას მიზნად, ვთქვათ, საშუალო-საკავშირო დონემდე მიღწევას კი არა, თვითმმართველობასა და სუვერენული უფლებების გაფართოებას დაუსახავ, როცა მიზანი ასეირგად ამოლაღებული, — იმავე პრობლემის გადაჭრა, ჩვენი ღრმა რწმენით, თუნდაც იმავე პირობებში, იმავე რესურსებით გაციცებით სწრაფად და უკეთ მოხერხდება, რადგან ეროვნული ინტერესი, ეროვნული თავმოყვარეობა ეკონომიკის ზრდის განსაკუთრებული, შეუცვლელი დამაჩქარებელია.

ახლა ისეთ განსახილველ დოკუმენტს დავუბრუნდეთ. პროექტში ასეა ჩაწერილი: „გარკვეულ ეტაპზე მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობაში დემოკრატიული საწყისები არსებითად დეფორმირებული იყო“. ჩვენი აზრით, რესპუბლიკების სუვერენული უფლებების შელახვა არა მარტო ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში. — საერთოდ პოლიტიკის და საკუთრივ ეროვნული პოლიტიკის სფეროში დაშვებულმა შეცდომებმაც განაპირობა. ეს, ალბათ, აუცილებლად უნდა ყოფილიყო მითითებული განსახილველ დოკუმენტში.

როცა დღეს ვამბობთ, რომ თვითმმართველობის პირობებში მუშა უნდა იყოს თავისი საწარმოს, ხოლო გლეხი მიწის სრული ბატონ-პატრონი, ალბათ, არ შეიძლება ბატონ-პატრონობის ეს მართლაც ნანატრი გრძნობა ცალკეული საწარმოს ან კოლმეურნეობის არეალით შემოვზღუდოთ. ამა თუ იმ რესპუბლიკის ეროვნულ სიმდიდრეზე იმავე რესპუბლიკის მცხოვრებთა ბატონ-პატრონის სრულ უფლებას თუ არ ვაღიარებთ, რესპუბლიკის სუვერენიტეტი სხვაგვარად მყარ ნიადაგს ვერ მიაკვლევს.

ხომ არ ვვარდებით მეორე უკიდურესობაში, ეროვნული ინტერესი ნებსით თუ უნებლიეთ ვიწრონაციონალურ ინტერესებში ხომ არ გადაიზრდება.

თუ მართებულად მივიჩნევთ მტკიცებას, რომ ძლიერი რესპუბლიკების გარეშე ძლიერი კავშირი ვერ შეიქმნება, თუ ვაღიარებთ, რომ საზოგადოებრივი ინტერესი შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ინტერესებიდან ამოიზარდოს, თუ ჩვენ რეალურად გვნადია მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცება, მაშინ, ბუნებრივად უნდა მოგვეჩვენოს დასკვნა: ეროვნული ინტერესების გაძლიერებითა და განმტკიცებით თვით ცენტრი უნდა იყოს დაინტერესებული. არა ერთგვაროვნება, არამედ ერთიანობა, არა დაპირისპირება, არა დიქტატი ინტერესის ერთი სახეობისა მეორეზე, არამედ ინტერესთა კეთილმოსურნეობა, დიახ, კეთილმოსურნეობა, სხვა, უკეთესი სიტყვა ვერც დავძებნე.

4.

პროექტში საუბარი არის იმაზე, რომ მეურნეობრიობის სფეროს გაფართოების შემოთავაზებულ ღონისძიებათა რეალიზაციის შედეგად „წინასწარი გაანგარიშებით რესპუბლიკების განმგებლობაში მთლიანად მყოფ სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ხვედრითი წილი სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში გაიზრდება“... აქ ჩამოთვლილია ცალ-ცალკე: რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის - რესპუბლიკები, ხოლო ქვემოთ გაერთიანებულია: „ამიერკავკასიის რესპუბლიკებში 6-10 პროცენტიდან 50-71 პროცენტამდე“. ასევე გაერთიანებულია ბალტიისპირეთისა და შუა აზიის რესპუბლიკების მონაცემები.

რესპუბლიკის გამგებლობაში მყოფი სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ხვედრითი წონის ამგვარი ზრდა თავისთავად ძალზე სასიხარულოა, მაგრამ, ჩვენი აზრით, როცა რესპუბლიკების სუვერენიტეტზე ვლაპარაკობთ, ალბათ, ცოტა უხერხულია მონაცემების ამგვარი გათქვეფა, ეს იმას ჰგავს, ამიერკავკასიაში საერთო ამინდი რომ გამოვაცხადოთ.

მომდევნო შენიშვნა ქვეყანაში რადიკალური სამეურნეო რეფორმის მიმდინარეობის შეფასებას ეხება. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ამჟამად შექმნილია სახელმწიფო საწარმოებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების სამეურნეო დამოუკიდებლობის ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები... კანონმდებლობით დაცულია შრომითი კოლექტივების ინტერესები“.

ჩვენი აზრით, ვიდრე მართვის ერთიანი მექანიზმის შექმნა არ დაგვისრულება, ნაადრევია საუბარი ამგვარი საფუძვლების შექმნაზე. სამეურნეო პრაქტიკა გვიჩვენებს: სანარმოს შესახებ კანონის მიღებაც საკმარისი როდი გამოდგა იმისათვის, რომ შრომითი კოლექტივების ინტერესებს ამჟამინდელ ეტაპზე ყველგან ვიცავდეთ. საკმარისი არ გამოდგა იმიტომაც, რომ ეკონომიკის ზოგად კანონებს იურიდიული კანონებით ვერსად და ვერასოდეს შეცვლი.

საერთოდ, ზოგადი პრინციპების პროექტი მრავალ საფიქრალს აღძრავს. ამთავითვე გარკვევით უნდა ითქვას, რომ რა სასიკეთო ცვლილებაც არ უნდა განიცადოს ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტმა, მზამზარეულ, „შეკმაზულ“ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას არავინ მოგვარომეკს. ის, რაც დღევანდელ და, მეტადრე, ხვალინდელ საქართველოს სჭირდება მრავალვარიანტული, ზოგჯერ ალტერნატული ფორმითაც მისხალ-მისხალ ჩვენ და მხოლოდ ჩვენ უნდა გავიაზროთ. სხვის იმედად, მეტადრე სხვისი ხელებით ამის გაკეთება არც მოხერხდება და არც ივარგებს.

გამადიდებელი შუშა სულაც არ სჭირდება იმის დანახვას, რომ პლურალიზმი ეკონომიკაში ძალზე დუნედ მკვიდრდება. განა ყველას უხარია, განა თუნდაც ყველა მეცნიერი მიესალმება რადიკალურ ცვლილებებს ეკონომიკურ პოლიტიკაში? ვერავინ დამოჯერებს, მაგალითად, რომ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ჩიჩკანოვი ვერ ხედავდეს განსხვავებას ამა თუ იმ ოლქსა და სუვერენულ სახელმწიფოს შორის, მაგრამ, როცა იგი რეგიონისა და სახელმწიფო ინტერესების შეხამებაზე იწყებს საუბარს, სახელმწიფოში, როგორც წესი, აუცილებლად მთელს კავშირს გულისხმობს, რეგიონის დონეზე კი თანაბრად გაჰყავს, ვთქვათ, სვერდლოვსკი, ტიუმენის ოლქიც და ნებისმიერი რესპუბლიკაც. მეცნიერები მეტწილად „ვერ ხედავენ საჭიროებას მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის დაცვის პრობლემაც წამოსწონონ. შესაძლოა მათ ეს პრობლემა საერთოდ არ აწუხებთ, უფრო ზუსტად, არ ენაღვლებათ.

რაკი რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვა იმავეროულად მთელი ჩვენი კავშირის სუვერენიტეტის დაცვასაც გულისხმობს, კეთილი უნდა ვინებოთ და ცენტრისა და რესპუბლიკის ეკონომიკური თუ ეროვნული ინტერესები ერთმანეთს არ დაუპირისპიროთ, წინასწარი განზრახვით ისინი ერთმანეთს არ დავაციალოთ, მხედარიც იქ იყოს, სადაც ცხენია.

ჩვენ ისე ვიყავით დანატრულნი განსხვავებული მოსაზრებების მშვიდობიან თანაარსებობას, რომ დღეს, რაკიღა ამის საშუალება მეტნაკლებად მოგვეცა, ხშირად სულსწრაფნი გავხდით, სურვილსა და შესაძლებლობას შორის სამანს ვეღარც კი ვდებთ.

5.

იცოცხლეთ, კარგი იქნებოდა, ერთ მშვენიერ დღეს ზარ-ზეიმით რომ გადმოეცათ სუვერენული რესპუბლიკის ყველა კომპონენტი, მაგრამ ვიყოთ რეალისტები და დავინახოთ, რომ ამის მიღწევას არა მარტო თხოვნა და მოთხოვნა, არამედ ბრძოლა, ხანგრძლივი ბრძოლა სჭირდება (ბრძოლაში შრომით ბრძოლას, უფრო კი ცოდნით ბრძოლას ვგულისხმობ).

მოგეხსენებათ, ამოცანის დასახვა საერთოდ ძნელი როდია. ძნელი რეალური ამოცანის დასახვაა, ძნელია იმიტომაც, რომ ჩვენ ჯერაც ყოველთვის როდი გვაქვს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას არჩევანის სრული თავისუფლება. დღეს არა მარტო ზუსტად უნდა ვიცოდეთ ის, თუ როგორ ვაპირებთ რეალური თვითმმართველობის მიღწევას, არამედ ისიც, რაგვარ პირობებსა და გარემოში მოგვიხდება თუნდაც პირველი ნაბიჯის გადადგმა.

რატომ უნდა დავიჯეროთ, რომ ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ბიუროკრატიული ცენტრალიზმი, ბიუროკრატიული ადმინისტრაციული აპარატი ერთბაშად იმდენად გადემოკრატდება, რომ აქეთ მოგვეძალება: არაფერი შეგეშალოს, კიდევ გადავამოწმოთ — რესპუბლიკის რეალურ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ემანდ, არაფერი დააკლდესო. ილუზიურ სამოსელში გახვევა არ ივარგებს. ბიუროკრატიული ცენტრალიზმის ყინული დაძვრით კი დაიძრა, მაგრამ სამწუხაროდ, ზეგავლენა ჯერ ისევ ძალიან ძლიერია. ეს ფაქტი ბევრ ეჭვს ბადებს. ეჭვი ბადებს ის, ეჭვი ბადებს ეს, ეჭვი ბადებს ასეთი ეჭვი, ეჭვი ბადებს ასეთი ეჭვი, ეჭვი ბადებს ასეთი ეჭვი

დავრაზმოთ მთელი ძალები, აპვანაზღაურთ დანაკარგი!

აღვადგინოთ ნორმალური რიტმი

რესპუბლიკის მრავალი ტაწარმოს შრომითმა კოლექტივებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების პასუხად 15 აპრილი სამუშაო დღედ გამოაცხადა, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ანაზღაურდეს შრომითი დანაკარგები, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

დღე, რომელმაც თბილისის საწარმოო გაერთიანება „ავიამშენებლები“ ჩაიარა, არ ჰგავდა შაბათს. აქ, ისევე როგორც ჩვეულებრივ დღეებში, მოვიდნენ მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები. — სახელმწიფო გეგმა კანონია, — ამბობენ ისინი, — და იგი უნდა შევასრულოთ. ცალკეულმა პროვოკატორებმა სცადეს ჩაეშალათ სამუშაოთა გრაფიკი, მაგრამ ჩვენ მათ სათანადო პასუხი გავეცით.

სამუშაოზე გამოვიდა ყველა, რა თქმა უნდა, იმათ გარდა, ვინც ბიულეტენზე ან მივლინებაშია, და ყველანი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მუშაობდნენ.

აი, რას ამბობს მემონტაჟე ზეინკალი შოთა ლობიშვილი:

— ჩვენი მოვალეობა პატიოსნად და კეთილსინდისიერად შეგასრულეთ. როგორც ნათქვამია მიმართვაში, დავაცხროთ ემოციები და მოვუსმოთ გონიერებას, გავერკვეთ იმაშიც, როგორ განვითარდა მოვლენები, რომლებსაც შემაძრწუნებელი დასასრული მოჰყვა. მაგრამ ამავე დროს ყველა რთული საკითხი უნდა გადავწყვეტოთ ერთად, გულახდილად და საჯაროდ.

მას მხარი დაუჭირა თანამოსაქმემ ანდრო ტაბატაძემ:

— კარგად თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ე. ა. შევარდნაძემ, რომ გარდაქმნა — ეს არის რევოლუცია. სწორედ რევოლუციურ ეპოქაში ვცხოვრობთ ჩვენ და ვერავითარმა ძალებმა, ვერც გარეშე, ვერც შინაურმა, ვერ უნდა შეარყიოს ჩვენი რწმენა. გადამწყვეტი სიტყვა აქ ეკუთვნის მუშათა კლასს, და ჩვენ იმედს არ გავუცრუებთ.

1600 კაცი — თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხშენებლის“ მთელი მუშათა პერსონალის 70 პროცენტი გამოვიდა შაბათობაზე. მათ იმუშავეს სრული სამუშაო დღე. არ შეიმჩნეოდა შრომის, საწარმოო დისციპლინის არავითარი დარღვევა. დაამზადეს 80 ათასი მანეთის პროდუქცია. ეს არის პროგრამული მართვის სერიული ჩარხები, რომლებიც ასე სჭირდება მრეწველობის სხვადასხვა დარგს. როგორც საწარმოს წამყვანმა ტექნოლოგმა ლევ ვლასოვმა თქვა, მთელი კოლექტივი ცდილობს არა მარტო აანაზღაუროს დანაკლისი, არამედ მიაღწიოს ახალ მიჯნებსაც წლიური გეგმის შესრულების გზაზე.

ჩვეული საწარმოო რიტმით ჩაიარა შაბათობამ თბილისის ტრიკოტაჟის გაერთიანება „გლდანში“. დაზგებთან და აგრეგატებთან ორ ცვლად შრომობდა ათასამდე კაცი, პრაქტიკულად მთელი კოლექტივი. მუშაობდნენ შეთანხმებულად, ზუსტად. იმისათვის, რომ აანაზღაურონ საგეგმო დავალებათა შესრულებაში წარმოშობილი გაღოვეება, უნდა გამოუშვან თითქმის 300 ათასი მანეთის პროდუქცია. ჰოდა, გლდანელებმაც გადაწყვეტეს იმუშაონ ამისათვის შაბათსა და კვირას.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართვაში კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი, ახალგაზრდობისადმი მოგვიწოდებს აღვადგინოთ რესპუბლიკის საზოგადოებრივი, შრომითი ცხოვრების ნორმალური რიტმი, და ამით უზრუნველყოთ სიმშვიდე და მრეწველობის სხვადასხვა დარგს. როგორც საწარმოს წამყვანმა ტექნოლოგმა ლევ ვლასოვმა თქვა, მთელი კოლექტივი ცდილობს არა მარტო აანაზღაუროს დანაკლისი, არამედ მიაღწიოს ახალ მიჯნებსაც წლიური გეგმის შესრულების გზაზე.

ჩვეული ტემპით ჩაიარა შაბათობა ფეხსაცმელთა ფაბრიკა „ბოლნელის“ ბიბინაურ

ენერგიის მდინარის აუცილებელი შენაკადი

საქართველოში ელექტროენერგიის გამოყენების საკითხს ჯერ კიდევ დიდი ილია აქცევდა გამუდმებულ ყურადღებას. 1887 წელს სწორედ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით მოეწყო პირველი ელექტროსადგური საქართველოში. ნიკო ნიკოლაძეც დაეინებით მიუთითებდა ჩვენი მდიდარი ჰიდრორესურსების უტილიზაციის აუცილებლობაზე. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ქართულ მიწაზე თანამიმდევრობით გაჩნდნენ სხვადასხვა სიმძლავრის ელექტროსადგურები. ახლა ჩვენს რესპუბლიკაში დღე-ღამეში იწარმოება ორჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე რევოლუციამდელ საქართველოში მთელი წლის განმავლობაში.

განვითარების ასეთი მასშტაბის მიუხედავად სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე საქართველოს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება სრულად მაინც ვერ კმაყოფილდება, უფრო მეტიც, მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, სავალალოა. ადგილობრივი წარმოების რესურსებით დაკმაყოფილების დონე მხოლოდ 15 პროცენტს შეადგენს. მაშასადამე, სათბობითა და ენერგიით ეკონომიკის უზრუნველსაყოფად რესპუბლიკას ყოველწლიურად შემოაქვს თავისი მოთხოვნილების 85 პროცენტი. ეს არის მოხმარებული ბუნებრივი გაზის მთელი რაოდენობა, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ძირითადი, ხოლო ქვანახშირისა და ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ უკანასკნელზე რესპუბლიკის მოთხოვნილება 1988 წელს 80,4 პროცენტით დაკმაყოფილდა, მაგრამ დაკმაყოფილების აღნიშნული დონეც რეალურად ვერ ჩაითვლება. სამე ის არის, რომ მარშან გამომუშავებული ელექტროენერგიის 47 პროცენტი მიიღეს თბოელექტროსადგურებში, სადაც საწვავად ძირითადად გამოიყენეს რესპუბლიკის გარეთან შემოტანილი სათბობი. ამით ნათლად ჩანს, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი სახალხო მეურნეობის საკუთარი ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი. ეს „წვრილმანიც" რომ არ მივიღოთ მხედველობაში, 1988 წელს რესპუბლიკას დააკლდა 3,6 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. ეს ციფრი კი საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე სარეკორდოა. დავაკვირდეთ მოვლენათა მსვლელობას. უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექტრობალანსი დეფიციტური იყო. უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე იგი 5,3-ჯერ გაიზარდა.

ელექტროენერგიის ასეთი დეფიციტი ნაწილობრივ მისი უყაირათო ხარჯვის შედეგიც არის. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარების ახლანდელ პირობებში ობიექტური აუცილებლობაა. სადავო არც არის, რომ ახლა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაციის დონე დაბალია. ამ მხრივ დიდად ჩამოვრჩებით თუნდაც საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან. ერთსულ მოსახლეზე საქართველოში 2-ჯერ ნაკლები ელექტროენერგია იწარმოება ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში, საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით, ჩვენთან დაბალია შრომის ელექტროფიცირებლობა მრეწველობაში 32,3 პროცენტით, სამეურნეობებში — თითქმის 3-ჯერ, კოლმეურნეობებში — 5-ჯერ, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაც. ამ მხრივ ელექტროენერგიის მოხმარება - საქართველოში ერთსულ მოსახლეზე, საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით, შეადგენს ქალაქში 75,4 პროცენტს, ხოლო სოფელში — 74,6 პროცენტს. სამწუხარო ის არის, რომ ჩამორჩენა ბოლო წლებში კი არ სწორდება, არამედ ღრმავდება კიდეც. თანაც მეზობელი რესპუბლიკებიდან და ქვეყნის ევროპული ნაწილის ერთიანი ენერგოსისტემიდან ელექტროენერგიის დეფიციტის შევსების იმედი ნაკლებად პერსპექტიულია.

რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებისა და საკუთარი ძალებით ელექტრიფიკაციის განვითარებაში ჩამორჩენის დაძლევის რა საშუალებები გვაქვს ამჟამად?

ცნობილია, რომ საქართველოს სსრ ბუნებრივი სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი არ არის, თუმცა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად მოიპოვება ამ რესურსების თითქმის ყველა სახეობა. გვაქვს ქვანახშირი, ნავთობი, ჰიდრორესურსები, თერმული წყლები. არის ზღვისა და მზის ენერგიის, აგრეთვე არატრადიციული ენერგიის სხვა სახეობათა გამოყენების კარგი პერსპექტივები.

მაგრამ მაინც დღევანდელ პირობებში ერთადერთი რეალური ენერგეტიკული რესურსი, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას აქვს, ჰიდროენერგიაა. სწორედ მასზე მოდის საქართველოს ბუნებრივი ტრადიციული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რეალური მარაგის 80,8 პროცენტი. ჩვენი მდინარეები შეიცავენ უზარმაზარი სიდიდის ჰიდრავლიკურ ენერგიას და გარკვეულწილად ავსებენ სათბობის ნაკლებობას რესპუბლიკაში.

ერთ სულ მოსახლეზე, ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მიხედვით, ჩვენს რესპუბლიკას მესამე ადგილი უჭირავს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

საიდუმლო არ არის, რომ ნებისმიერი სამრეწველო ობიექტი უარყოფით გავლენას ახდენს ბუნებაზე. ამ მხრივ არც ჰიდროელექტროსადგურებია გამონაკლისი. ჰიდროენერგომშენებლობის შედეგად პრაქტიკულად საშუალოდ წყლით იფარება და სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობისათვის უვარგისი ხდება მიწის დიდი ფართობები, ნადგურდება ტყე, ასეთი მშენებლობა მოითხოვს დიდ კაპიტალურ დაბანდებებს და შედარებით ხანგრძლივ დროს. ენერგეტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაკლია აგრეთვე მათ მიერ ენერგიის გამომუშავების სეზონურობა. ზოგჯერ აუცილებელი ხდება ელექტროსადგურისათვის გამოყოფილი მიწის ფართობიდან ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის ნაწილობრივ ან სრული აყრა და გადასახლება. მიწის რაციონალური გამოყენების საკითხი კი განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი მცირემიწიანი რესპუბლიკისათვის, როგორიც საქართველოა.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც. ჩვენს მდინარეებს, რომლებიც შავ ზღვაში ჩაედინებიან, თან ჩაქვთ უამრავი ქვა, ღორღი, ქვიშა და ამით წონასწორობას ამყარებენ ზღვისა და მდინარეთა ურთიერთქმედებაში. მაგრამ, როცა მდინარე წყალსაცავში მოხვდება, ეს წონასწორობა ირღვევა. მდინარეებს ვეღარ ჩააქვთ ზღვაში მყარი ჩამონადენი და ზღვა ნელ-ნელა რეცხავს ნაპირს, თანდათანობით მიაქვს ზმელეთი. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო ხდება დიდი შრომისა და სახსრების გაღება, მაგრამ ხშირად ვერც ეს გვაძლევს სასურველ შედეგს.

სამაგიეროდ ჰიდროელექტროსადგურები აბსოლუტურად უვნებელია ატმოსფერული გარემოს მიმართ. პრაქტიკულად თბოელექტროსადგურებისაგან განსხვავებით მათ არავითარი გამონაბოლქვი არა აქვთ. რესპუბლიკაში არსებული ჰიდროელექტროსადგურების ნაცვლად ექვივალენტური სიმძლავრის თბოელექტროსადგურები რომ მოქმედებდნენ, ჩვენი გარემო ყოველწლიურად დამატებით ათასობით ტონა ნაცრის, გოგირდისა და აზოტის ტოქსიკური ანგეულებით გაჭუჭყიანდებოდა, დაიწვებოდა მილიონობით კუბური მეტრი ანგბადი. ჰიდროელექტროსადგურები თავისთავად მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემასაც წყვეტენ — აქ ძირეულად უკეთესი შრომის პირობებია, ვიდრე თბოელექტროსადგურებში. ამასთან მაღალია შრომის ნაყოფიერება. ჰიდროელექტროსადგურებში ადვილად მიიღწევა დანადგარების მართვის ავტომატიზაცია, რომლის დროსაც პრაქტიკულად პერსონალი საჭიროც აღარ არის. ჰიდრომშენებლობათა გონივრული წარმართვით კომპლექსურად წყდება მიწების მორწყვის, დიდი ქალაქების წყალმომარაგების, მშრომელთა დასასვენებელი კერების შექმნის და სხვა პრობლემები.

აღნიშნულ უპირატესობათა შედეგად, 1987 წლის მონაცემებით, საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებში თითოეული კილოვატ-საათი ელექტროენერგიის თვითღირებულება 0,329 კაპიკია, ხოლო თბოელექტროსადგურებში — 1,564 კაპიკი. ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება ერთ კილოვატ-საათზე შესაბამისად 15 და 3 კაპიკს შეადგენს. კონკრეტული გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ჰიდროელექტროსადგურები თბოელექტროსადგურებთან შედარებით წლიურად 15,8 მილიონი მანეთის ეკონომიას იძლევა.

უკანასკნელ ხანს ჩვენი რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა ბევრი სტატია, რომლებშიც ცალმხრივად არის შეფასებული ჰიდროელექტროსადგურები. ზოგიერთი პუბლიკაცია პირდაპირ სახელს უტეხს ჰიდროენერგომშენებლობას და აბნევს ფართო მკითხველს.

ზოგიერთი სტატია მკითხველს ამცნობს, რომ ენგურჰესი აშენებადის დღიდან ამიერკავკასიის ენერგოსისტემაში ჩართეს, ხოლო ბოლო წლებში მისი ელექტროდენი სტავროპოლში გადაიტანეს. თურმე, ნუ იტყვით, წაგვართვეს ასეთი ტანჯვით აგებული ელექტროსადგური! საქმეში ოდრეობა ისეა „დახატული" თითქოს ჰიდროენერგეტიკას ჩვენთვის მხოლოდ ზიანი მოჰქონდეს და სხვა არაფერი. აქ ეჭვქვეშაა დაყენებული ჰიდროელექტროსადგურების მუშაობის არა მარტო ეკოლოგიური, არამედ ენერგეტიკული და ეკონომიკური მხარეც. განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტი გახდა ენგურჰესი. ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ ამ ელექტროსადგურმა საერთოდ ვერ გაამართლა იმედი. გაზვიადებულია მისი ყოველი წვრილმანი ნაკლი.

საქმის შესწავლა კი გვიჩვენებს რომ 1972 წლიდან, მას შემდეგ, რაც თანამიმდევრობით ამოქმედდნენ ენგურჰესის კასკადის ვარდნილჰესები და ძირითადი საფეხური, ამ ელექტროსადგურმა დღემდე გამომუშავა 37 მილიარდ კილოვატ-საათზე მეტი ელექტროენერგია. ერთი კილოვატ-საათის თვითღირებულებამ 17 წლის განმავლობაში საშუალოდ 0,364 კაპიკი შეადგინა. კონკრეტული გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ენგურჰესის ექსპლოატაციით უკვე მიღებულია 677 მილიონი მანეთის მოგება. ეს კი ამ ელექტროსადგურის აგებისათვის დახარჯული მთელი კაპიტალური დაბანდების 79 პროცენტია. მაშასადამე, კიდევ — 2-3 წელი და ენგურჰესი მთლიანად აანაზღაურებს მის მშენებლობისათვის დახარჯულ თანხას.

მაგრამ, როგორც ენგურჰესის ოპონენტები ამცნობენ მთელ რესპუბლიკას, ეს ელექტროსადგური დიდი-დიდი 16-17 წელიწადს იმუშავებს, მერე კი ამოილეწებაო. მართლა ასეა მდგომარეობა? ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ენგურჰესის კასკადის პირველი სიმძლავრეები უკვე 17 წელია მუშაობს. ენგურჰესის კასკადის ძირითადი საფეხურის პირველი აგრეგატი კი ამოქმედდა 1978 წელს — 10 წლის წინათ. კრიტიკოსთა აზრით, ენგურჰესის სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობა დაახლოებით 30 წლით განისაზღვრება. გამოდის, რომ ჯვრის წყალსაცავის მესამედი უკვე ამოსილული უნდა იყოს. ამასთან ვიცით, რომ ენგურჰესის გამომუშავება 1986-1987 წლებში თანდათან იზრდებოდა: 1986 წელს მან გამომუშავა 2307,8, 1987 წელს — 3644,9 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

ამოსილვის ინტენსიურობის დასადგენად კი, ალბათ, საჭიროა ამ საქმის სპეციალისტებისათვის მიგვემართა. ამ უკანასკნელთა დასკვნით, მდინარე ენგურის მყარი ჩამონადენი წლიურად 2150 ათასი კუბურ მეტრს, ხოლო წყალსაცავის უქმი მოცულობა 424 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. მაშასადამე, თეორიულად აღნიშნული მოცულობის ამოსილვისათვის მდინარეს 197 წელი მაინც დასჭირდება, რომ არაფერი ვთქვათ წყალსაცავის მთლიან მოცულობაზე, რომლის ამოსილვისათვის ენგურს 511 წელი დასჭირდება. სპეციალისტებმა იციან, რომ პრაქტიკულად წყალსაცავის სრული ამოსილვითაც წყლის გატარება არ წყდება. ამ შემთხვევაშიც ელექტროსადგური, მართალია შემცირებული სიმძლავრით, მაგრამ მაინც იმუშავებს. ამისი მაგალითია ზაჰესი და გუმათპესი. ამასთან ნუ დავივიწყებთ ამოსილვის საწინააღმდეგო ტექნიკურ საშუალებებსაც. უფრო ის უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა სამრეწველო ობიექტსა და მანქანა-დანადგარს სჭირდება რეკონსტრუქცია, რემონტი თუ აღდგენა. პერპეტუმობილე ჯერ არავის შეუქმნია და, მოდით, ენერგეტიკოსებსაც ნუ მოვთხოვთ ამას.

სამაგიეროდ საზოგადოებამ აუცილებლად უნდა მოთხოვოს ჩვენს ენერგეტიკოსებს სხვა მოიჯნავე დარგების სპეციალისტებთან ერთად სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებების შემუშავება საქართველოში ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის ოპტიმალური მიმართულებების განსაზღვრისა თვის ენერგეტიკული, ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნათა გათვალისწინებით. თითოეული ახლად ასაშენებელი ობიექტისათვის უფრო სწორედ უნდა განისაზღვროს მისი ოპტიმალური პარამეტრები. აქ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ადგილობრივი პირობების, ჩვენი ისტორიული წარსულისა და ეროვნული ტრადიციების თავისებურებები. სათქმელს თუ მოკლედ ჩამოვაყალიბებთ, ეს ისე უნდა მოხდეს, რომ საზოგადოებამ მინიმალური ზიანის პირობებში მაქსიმალური ეფექტი მიიღოს. ამასთან ყოველი მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობის საკითხი აუცილებლად სახალხო განხილვისათვის წინასწარ უნდა იქნეს გამოტანილი. ამ საკითხშიც ჩვენ ახლა უთუოდ გვესაჭიროება ენერგეტიკის განვითარების სხვადასხვა ვარიანტების ობიექტური შეფასება. უკანასკნელმა წლებმა დაგვარწმუნეს, რომ საბოლოო ჯამით ამას მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია. ჭეშმარიტება რომ კამათში იბადება, ამისი კარგი დადასტურებაა ხუდონჰესის მშენებლობის საჯარო განხილვა, სადაც ჭეშმარიტების დადგენისათვის ხალხის მოთხოვნას სრული გაგებით მოეკიდა მთელი რესპუბლიკა.

საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ჩვენს ჰიდროენერგეტიკაში მცირე ჰიდროელექტროსადგურების ადგილისა და როლის საკითხი. მათი უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკისათვის სადავო არ არის. მისი განვითარების კარგი შესაძლებლობა გვაქვს. მცირე ჰიდროენერგეტიკის ჯეროვანი განვითარება, უწინარეს ყოვლისა, უზრუნველყოფს მაღალმთიანი, ცენტრიდან დაშორებული რაიონების ლოკალურ ელექტრომომარაგებას, მათ ფართო ელექტრიფიკაციას, ხელს შეუწყობს ამ რეგიონების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. მაგრამ ისე, რომ მათ დავაკისროთ დღევანდელი დიდი სახალხო-საეკონომიო ამოცანების გადაჭრა, ალბათ, სწორი არ იქნება. სპეციალისტების დასკვნით, რესპუბლიკაში უახლოეს პერიოდში შესაძლებელია აშენდეს ასობით მცირე ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც წლიურად მნიშვნელოვანი ოდენობის ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. ცხადია, აღნიშნული პროგრამა უნდა განხორციელდეს. მაგრამ უნდა განისაზღვროს ასეთი მშენებლობის რეალური შესაძლებლობები და ვადები. აქ, რა თქმა უნდა, არ გამოვიცხავთ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, მშენებლობის სტანდარტიზაციის, მეთოდების, ორგანიზაციისა და სხვათა სრულყოფის შესაძლებლობებს. პრაქტიკულად გადასაწყვეტია აგრეთვე მცირე ჰიდროელექტროსადგურების მოწყობილობათა ქარხნის შექმნის საკითხიც.

ორიოდე სიტყვა საქართველოში ენერგიის არატრადიციული სახეობების გამოყენების შესახებაც. ცნობილია, რომ რესურსებით ჩვენი რესპუბლიკა ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რეგიონია საბჭოთა კავშირში, ამასთან, მოგეხსენებათ, რომ ეს რესურსები უმთავრესად ეკოლოგიურად სუფთაა. ენერგიის ამ წყაროდან უწინარესად აღსანიშნავია თერმული წყლები და მზის ენერგია, პირველის გამოყენება საქართველოში 1973 წლიდან წარმოებს და მისი რესურსები პრაქტიკულად ამოუწურავია. მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა კი რესპუბლიკის უმეტეს რაიონებში 200-250 დღეს შეადგენს და მისი რადიაციული მახასიათებლები ჩვენთან ჰელიოტექნიკური მშენებლობის რეალურ პერსპექტივებზე მიუთითებენ. არის ქარის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობებიც.

სამივე სახეობის ენერგიის გამოყენების გაფართოების მიზნით რესპუბლიკაში უკვე შექმნილია სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ არატრადიციული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ათვისების პროგრამით გათვალისწინებულ უსაფუძვლოებს. ყოველმხრივ უნდა შეეუწყოთ ხელი ამ პროგრამის წარმატებით შესრულებას, მაგრამ ენერგიის არატრადიციული სახეობების გამოყენებაში არსებული ტექნიკური, ეკონომიკური და სხვა ხასიათის სერიოზული სიძნელეები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მათ დიდმასშტაბური როლი დააკისროთ ეკონომიკის ენერგიით უზრუნველყოფაში, ამის დასადასტურებლად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ახლა მისი როლი რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში ერთობ მოკრძალებულია — 1,9 პროცენტს შეადგენს. გამოყენების დონე მომავალ 15 წელში რომ ხუთჯერაც გაიზარდოს, ბალანსში იგი 7 პროცენტსაც ვერ მიაღწევს.

საქართველოს დაძაბული სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის შემსუბუქების აუცილებელი საშუალებაა ამ რესურსების ეკონომიკური და რაციონალური გამოყენება. ამ მიმართულებით რესპუბლიკაში ბევრი გაკეთდა, მაგრამ უფრო მეტია გასაკეთებელი. რეზერვები ენერგეტიკული რესურსების მოპოვების, გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და გამოყენების სფეროშიც გვაქვს. ალბათ, ჩვენი უყაირათო მუშაობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ერთეულ პროდუქციაზე გადაანგარიშებით, საქართველოს ტრიკოტაჟის ნაწარმზე — 1,5-ჯერ, სარკინიგზო ელექტროწევაზე — 1,6-ჯერ, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციაზე — 1,7-ჯერ, აგლომერატზე — 1,8-ჯერ მეტი ელექტროენერგია იხარჯება, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში. მაგალითები სხვაც შეიძლებოდა მოგვეტანა. მაგრამ ერთი ცხადია: საჭიროა რეზერვების გამოვლენა და ამოქმედება, ეკონომიის საერთო ნაკადში ჩართვა. ეკონომიის ასეთი რეზერვები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, მაგრამ მთავარი აქცენტის გადატანა მეურნეობის ენერგიით უზრუნველყოფის ამ საშუალებაზე, ვფიქრობთ, სწორი არ იქნებოდა.

რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის ყოველ შემადგენელ ნაწილს, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, თავისი როლი უნდა დაეკისროს, განისაზღვროს თითოეული ადგილი, მოხდეს მისი ოპტიმიზაცია. ენერგიის ყველა ზემოაღნიშნული წყარო აუცილებელი მნიშვნელოვანი შენაკადია საქართველოს ენერგიის იმ დიდი მდინარისა, რომელშაც საქართველო უნდა მოამარაგოს სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით. რაც შეეხება ჰიდროენერგიას, არც ის შეიძლება იყოს წამყვანი სახალხო მეურნეობის ენერგოუზრუნველყოფაში. მრავალი წლის პრაქტიკამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის საამედო ელექტრომომარაგებისათვის აუცილებელია ჰიდროელექტროსადგურები შენდებოდეს საბაზო თბოელექტროსადგურებთან ერთად ელექტროენერგიის წარმოებაში ამ უკანასკნელი ლია უპირატესი მონაწილეობით. ჰიდროელექტროსადგურებს აქ წამყვანი როლი ვერ დაეკისრება იმის გამო, რომ, როგორც ცნობილია, მცირეწყლიანობის სეზონში მათი გამომუშავება მნიშვნელოვნად მცირდება და, ცხადია, სახალხო მეურნეობის ენერგიით უზრუნველყოფის ხარისხს დამოკიდებულს ვერ გავხდით წლის ჰიდროლოგიურ პირობებზე.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი უთუოდ შეიტანს თავის კორექტივებს მომავალ ცხოვრებაში, მოხდება მოვლენათა გადაფასებაც. დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, მაგრამ მართალი გითხრათ, ვერ წარმომიდგენია ის დრო, როცა ადამიანი უელექტროენერგიოდ შეძლებს ნამდვილ ცხოვრებას...

საგაზეთო სტატია, ცხადია, საშუალებას არ იძლევა ამ დიდი პრობლემის ყველა მხარის დაწვრილებითი გაშუქებისა. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ვინც ამ სტატიას უყურადღებით ჩაიკითხავს, უთუოდ განეწყობა ნაცნობ თემაზე კიდევ ერთხელ სჯა-ბაასისათვის. ცხადია, ყველა ჩვენგანი ერთნაირად ვართ მოწადინებული ბუნებრივი რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენებისათვის, ჩვენივე ერის სამსახურში მისი სრული ჩაყენებისათვის, მაშ ერთად განვსაჯოთ ჩვენი მომავლის ეს მნიშვნელოვანი მხარეც. ახლა ხომ ამისი გაკეთების ყველაზე ხელსაყრელი დროა.

დემურ ჩომახიძე,
საქართველოს სსრ ხალხმწიფო ხაგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნ. ერო კვლევითი ინსტიტუტის მრეწველობის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ნეკრესი. აღდგენის პროცესი. ფილიპს კრიმსკის („კომუნისტი") ფოტო.

ერთი სამეოგლო გვაქვს

ამას წინათ თანამემამულეებმა უკანასკნელ გზაზე გააცილეს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მეცენატი ლევან სალარაძე, რომელმაც მრავალ წელს იცხოვრა საშობლოს მოცილებულმა და მისი ანდერძისამებრ სამშობლოში დაკრძალეს. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ გაუღვიძა სურვილი საზოგადოებრივობას, ჩაუფიქრდეს და ახლებურად შეაფასოს უცხოეთში ქართული ემიგრაციის ცხოვრება და ბედი.

— იმ ფაქტორებიდან, რომლებმაც აიძულა ჩვენი თანამემამულენი საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასულიყვნენ, შეიძლება გამოვყოთ სამი მთავარი — ეკონომიკური, რელიგიური და პოლიტიკური ფაქტორები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ოთარ გიგინეიშვილმა. — მრავალმა ქართველმა დატოვა სამშობლო მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დადგეგს. პირველი სათვისტომოები შეიქმნა ამერიკის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში. შემდგომში მათი რიცხვი გაიზარდა და დღეს ასეთი სათვისტომოები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია. სომხების, რუსების, ბალტიისპირეთის ხალხთა ანალოგიურ ცენტრებთან შედარებით ეს სათვისტომოები მცირერიცხოვანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენმა თანამემამულეებმა საზღვარგარეთ შექმნეს ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრი საინტერესო ნაწარმოები. ჯორჯ ბალანჩინისა და გრიგოლ რობაჭიძის სახელებს ფართოდ იცნობს დასავლეთის საზოგადოებრიობა.

ჩვენს თანამემამულეთა შორის არიან ადამიანები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. მათი ინტელექტუალური პოტენციალი უფრო მეტად გამოადგებოდა საქართველოს, მაგრამ ბედმა სხვაგვარად ინება. ვფიქრობ, გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში უფლება გვაქვს ვიცოდეთ მათი სახელები.

ჩვენი ქვეყნის გარდაქმნის ეპოქაში ძირფესვიანად იცვლება დამოკიდებულება ემიგრაციის მიმართაც. როგორ აისახა ეს პროცესი თქვენი საზოგადოების მუშაობაში?

— არსებითად შეიცვალა ჩვენი მიდგომა ქართველი ემიგრანტების სათვისტომოებისადმი. ვცდილობთ დავარწმუნოთ თანამემამულენი, რომ ჩვენ ერთი სამშობლო და საერთო მიზნები გვაქვს — ვიშრომოთ მამულის საკეთილდღეოდ, ქართული კულტურის სადიდებლად.

ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობს ქართული საზღვარგარეთული სათვისტომოების ძირითადი ნაწილი. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი სათვისტომოებია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში. ჩვენს საზოგადოებათა ერთობლივი ძალებით მოეწყო გამოფენები და ქართული კინოს ფესტივალები, ფოლკლორული ანსამბლების კონცერტები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საქართველოს კულტურის დღეები ჰაიდელბერგში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

რეგულარულად ვგზავნით საზღვარგარეთ სხვადასხვა გაზეთსა და ჟურნალს, ბროშურასა და პლაკატს, რომლებიც ასახავენ რესპუბლიკის დღევანდელობას, ვცდილობთ დავეხმაროთ ქართული ფოლკლორული ანსამბლების შექმნაში. რესპუბლიკის სასწავლებლებში სტაჟირებას გადიან სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ახალგაზრდა თანამემამულენი.

ჩვენი საზოგადოების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ქართული კულტურის მიღწევათა ფართო პოპულარიზაცია. ამ მიზნით კონტაქტები გვაქვს დამყარებული საზღვარგარეთელ ქართველოლოგებთან. შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი. მაგალითი, როგორიც არის თანამშრომლობა ბერნარ უტიეესთან საფრანგეთში, ჯორჯ ჰიუიტთან დიდ ბრიტანეთში, კიმ ბრაიტვიტთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბორის გასთან ისრაელში. მათი მეცადინეობით შეიქმნა ქართული ენის შემსწავლელი კურსები, პრესაში და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ქვეყნდება ცნობები საქართველოს ცხოვრებაზე, სხვადასხვა მეცნიერული და ლიტერატურული გამოკვლევა.

პ. ცინცაძე,
საქინფორმის კორ.

უცხოეთში

საკვლევი იუწყება
16 აპრილი

● **ავღანეთი**

ბრძოლები ჯელალაბადთან

ქაბული. შეურიგებელი ოპოზიციის შეიარაღებულმა ნაწილებმა პაკისტანის ჯარის ხელშეწყობით ინტენსიურად შეუტიეს ნანგარჰარის პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრ ჯელალაბადს და მის აეროპორტს. ამავე დროს პაკისტანის მე-11 და მე-18 საარტილერიო დივიზიები მასირებულ ცეცხლს უშენდნენ ჯელალაბადის საცხოვრებელ უბნებს. მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

ავღანელთა არმიის ს